

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური
დაგეგმარების სამსახური“

კორპორატიული ტანსაცმელის სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

ქ. ბათუმი

2011 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტექნიკური დოკუმენტაცია	3
2. ტექნიკური პირობა დანართი.№1.....	6
3. ფასების ცხრილი დანართი.№2	8
4. რეკვიზიტები დანართი№3	9
5. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა დანართი№4..	10

1.საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტექნიკური დოკუმენტაცია:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1 იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
- გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

1.2 ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

1.3 საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ შესახებ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

ბ) პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

გ) პრეტენდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ელექტრონული სახით) შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

დ) ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1.4 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

1.4.1. ანგარიშსწორების პირობა:

ა) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ხარჯები რომლებიც არ იქნება სატენდერო წინადადების ფასში გათვალისწინებული არ დაეკვემდებარება ანაზღაურებას.

ბ) მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით;

გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად, მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი და დღგ-ს ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

დ) შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 25%-ისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას);

ე) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) არ გამოიყენება.

1.4.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

1.4.3. მოსაწოდებელი საქონლის საგარანტიო ვადა:

მოსაწოდებელი საქონლის (კორპორატიული ტანსაცმელის) საგარანტიო ვადა მოწოდების დღიდან (მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) სწორი ექსპლუატაციის პირობებში უნდა შეადგენდეს 1 (ერთი) წელს.

1.4.4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი:

ტენდერით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 01 ოქტომბრამდე **დანართი №1**-ის მიხედვით; შემსყიდველი ორგანიზაციის მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №25.

1.5. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის 1.4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

1.6. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

1.6.1. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ფასების ცხრილი **დანართი №2**-ის მიხედვით;

ბ) პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა **დანართი №3**-ის მიხედვით;

1.6.2. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.7. საკონტაქტო ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარები“-ს სატენდერო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №25; E-mail: mcvane.batumi@gmail.com საკონტაქტო პირი: გიორგი ანანიძე; ტელეფონი: (8 422) 9 43 49;

1.8. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობა:

შესასყიდი კორპორატიული ტანსაცმელის
ტექნიკური პირობა

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	პარამეტრები და ტექნიკური აღწერილობა	საზომი ერთეული	რაოდენობა	მიწოდების ვადა
1	მაისური	ქსოვილი 30%,-პოლიესტერი, 70%-ბამბა, ფერი ღია მწვანე, გვირისტიტ, წინა მარცხენა მხარეს ამოქარგული არაკანლებ 8 სმ დიამეტრის (შემსყიდველის მიერ მიწოდებული) ლოგოთი, უკანა მხარეს წარწერით სიგანე - არანაკლებ 25 სმ-ისა, სიმაღლე, არანაკლებ 5 სმ-ისა.	ცალი	120	ხელშ. გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში
2	მაისური საყელოთი	ქსოვილი 30%,-პოლიესტერი, 70%-ბამბა, ფერი ღია მწვანე, გვირისტიტ, წინა მარცხენა მხარეს ამოქარგული არაკანლებ 8 სმ დიამეტრის (შემსყიდველის მიერ მიწოდებული) ლოგოთი, უკანა მხარეს წარწერით სიგანე - არანაკლებ 25 სმ-ისა, სიმაღლე, არანაკლებ 5 სმ-ისა.	ცალი	40	ხელშ. გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში
3	საზაფხულო კეპი	ქსოვილი 30%,-პოლიესტერი, 70%-ბამბა, ფერი მუქი მწვანე, საპეროებით, გვირისტიტ, უკან ზომის დასაყენებელი, წინა მხარეს ამოქარგული არაკანლებ 5 სმ დიამეტრის (შემსყიდველის მიერ მიწოდებული) ლოგოთი.	ცალი	80	ხელშ. გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში
4	შარვალი	ქსოვილი 30%,-პოლიესტერი, 70%-ბამბა, (შესაძლებელია შეთანხმება 100% ბამბაზე თუკი იქნება მაღალი ხარისხის); ფერი მუქი მწვანე, გვირისტიტ, წინა მხარეს 2 ჯიბე, უკანა მხარეს 1 ზევიდან დაკერებული ჯიბე, მუხლს ქვევით 3 სმ სიმაღლის ფოსფორის ლენტით.	ცალი	80	ხელშ. გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში
5	მოსასხამი მამკაცებისათვის	ქსოვილი 30%,-პოლიესტერი, 70%-ბამბა, (შესაძლებელია შეთანხმება 100% ბამბაზე თუკი იქნება მაღალი ხარისხის); ფერი მუქი მწვანე, გვირისტიტ, წინა მხარეს 2 ჯიბე, ზედა მარცხენა მხარეს 1 ზევიდან დაკერებული ჯიბე, ჯიბეზე ამოქარგული არაკანლებ 8 სმ დიამეტრის (შემსყიდველის მიერ მიწოდებული) ლოგოთი, უკანა მხარეს წარწერით სიგანე - არანაკლებ 25 სმ-ისა, სიმაღლე, არანაკლებ 5 სმ-ისა. სილუეტი სწორი, ცენტრალური შესაკრავი 4 დილაკზე წელს ქვემოთ არანაკლებ 5 სმ.	ცალი	60	ხელშ. გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში
6	მოსასხამი ქალებისათვის	ქსოვილი 30%,-პოლიესტერი, 70%-ბამბა, (შესაძლებელია შეთანხმება 100% ბამბაზე თუკი იქნება მაღალი ხარისხის); ფერი მუქი მწვანე, გვირისტიტ, წინა მხარეს 2 ჯიბე, ზედა მარცხენა მხარეს 1 ზევიდან დაკერებული ჯიბე, ჯიბეზე ამოქარგული არაკანლებ 8 სმ დიამეტრის (შემსყიდველის მიერ მიწოდებული) ლოგოთი, უკანა მხარეს წარწერით სიგანე - არანაკლებ 25 სმ-ისა, სიმაღლე, არანაკლებ 5 სმ-ისა. სილუეტი სწორი, ცენტრალური შესაკრავი 6 დილაკზე მუხლამდე სიგრძის.	ცალი	50	ხელშ. გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში

7	<p>წყალგაუმტარი თბილი ქურთუკი</p>	<p>ქსოვილი 90%-პოლიესტერი, 10%-ბამბა, წყალგაუმტარი გაჟღებთვით, ზედაპირი ბამბის სტრუქტურით, ფერი მუქი მწვანე. ქურთუკის სილუეტი სწორი, ცენტრალური შესაკრავი ელვით, დაფარული თამასით ექვს დილაკზე, საყელო დამდგარი უკან კაპიშონით მოსაჭიმი ზონარით, რომელიც იკვეება საყელოში. წინა კალთები და უკანა ზურგი გადაჭრილი კოკეტკით კომბინირებული ქსოვილით. კოკეტკის ხაზში დაკერებული შუქამრეკლით 4 სმ. წინა კალთაზე ზედნადები ჩაჭრილი ჯიბეთი ელვის საკეტით. მარცხნივ (ჩვენს მიერ მიწოდებული) ლოგოთი. ქვედა ჯიბე ჩაჭრილი სარქველით ფბრიწზე. სახელო ჩაკერილი სამ ნაწილიანი, მანუეტი რეზინით, სახელოს ქვედა შუა ნაწილში დაკერებული შუქამრეკლი 4 სმ. სარჩული დათბილული ნახევრად სინთეტიკური. სარჩულში წელის არეში მოსაჭიმი ზონარით სარეგულირებელი ფიქსატორით. სარჩულზე ზედნადები ჯიბით. ყველა დეტალის გაფორმება გვირისტით. (ზურგზე ჩვენს მიერ მიწოდებული წარწერის გამოსახულებით).</p>	ცალი	30	ხელშ. გაფორმებიდან 1 ოქტომბრამდე
8	<p>საწვიმარი ლაბადა</p>	<p>პოლიესტერი პვხ წყალგაუმტარი, ნაკერები წყალგაუმტარი ზონარით. ცენტრალური შესაკრავი დაფარული ელვით ზემოდან ხუთი დილაკით, წინა კალთებზე ზედნადები ჯიბეთი დაფარული სარქველით, კალთებზე შუქამრეკლი ორი ზოლით, საყელო კაპიშონით მოსაჭიმი ზონარით. სახელოზე შუქამრეკლი ორი ზოლით. სახელოს ბოლოში შიგნიდამალული მომდგარი მაჯაზე რეზინით. შუქამრეკლის სიფართე 5 სმ. (ზურგზე ჩვენს მიერ მიწოდებული) წარწერით).</p>	ცალი	30	ხელშ. გაფორმებიდან 20 სამუშაო დღეში

- ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა ვაჭრობის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის შესაბამისი ნიმუშები;
- პრეტენდენტს შეუძლია დაესწროს მის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის შერჩევის პროცედურას;
- გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ზომების აღებას განახორციელებს ინდივიდუალურად, რის შესაბამისადაც უნდა წარმოადგინოს პროდუქცია;
- გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან უსასყიდლოთ უნდა განახორციელოს ტექნიკური მომსახურება 4 (ოთხი) თვის განმავლობაში;
- სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პროდუქციის მინიმალური საგარანტიო პირობა და/ან ვადა სწორი ექსპლუატაციის პირობებში უნდა შეადგენდეს 1 წელიწადს.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

№	შესყიდვის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეული ფასი	მთლიანი ღირებულება	მიწოდების ადგილი და ვადა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
სულ:							

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში წინადადების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ა) სატენდერო წინადადების ფასი;
 - ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;
 - ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავაცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.